ხელშეკრულება N2021/01/5
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2021 წ.

ერთი მხრივ **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**, (შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული) წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსის **ვახტანგ შავგულიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს ,,ლეკლან" (ს/კ 405088186)** (შემდგომში ,,მიმწოდებლად'' წოდებული) წარმოდგენილი დირექტორის **ალექსანდრე რურუას** მინდობილი პირის გიორგი ლომიძის სახით (ორივე ერთად ,,მხარეებად" წოდებული) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტისა და 2021 წლის 5 თებერვლის **N49816** მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობა.
1.7 ,,ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დანართიN1-ით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა ,,ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ჯამური ღირებულება შეადგენს 9913.48 (ცხრა ათას ცხრაას ცამეტი ლარი და 48 თეთრი) ლარს.
3.2 მომსახურეობის ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) 2021 წლის 10 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, თბილისში, გაბრიელ სალოსის ქ. N50 მდებარე ავტოსამრეცხაო(ებ)ში, მოახდინოს ავტომობილების (გარეგანი, სალონის, ძარის, საბარგულის, საბურავების) სრულფასოვანი რეცხვა–დასუფთავება ან/და ქიმწმენდა (სალონის, ინტერიერის, სავარძლების, ჭერის, იატაკის, ფეხსაგების, საბარგულის);
ბ) ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, შემსყიდველის ყოველი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ავტომობილის სრულფასოვანი გარეცხვა–დასუფთავება შემსყიდველის მიერ ავტომობილის ავტოსამრეცხაოში მიყვანიდან 1 საათის (60 წუთი) განმავლობაში, ხოლო ავტომობილის ქიმწმენდა განახორციელოს ავტომობილის ავტოსამრეცხაოში მიყვანიდან 24 საათში. ამასთან, შემსყიდველი ავტომობილის გარეცხვის/ქიმწმენის თაობაზე ატყობინებს მიმწოდებელს ნახევარი საათით ადრე. შეტყობინებად ითვლება მიმწოდებლის ტელეფონის ნომერზე (591 97 20 70) ან ელ. ფოსტაზე (kamushwash2018@gmail.com) გაგზავნილი შეტყობინება; (ვადის ათვლა დაიწყება შეტყობინების გაგზავნის დროიდან);
გ) საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ან ელ. ფოსტის შეცვლა დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტაზე შემსყიდველის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად;

დ) შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში დაამზადოს და გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნის შესაბამისი ტალონების რაოდენობა. თითოეული ტალონი უნდა იყოს დამოწმებული მიმწოდებლის ბეჭდით;

ე) მომსახურების გაწევის დროს მისი ბრალეულობით წარმოქმნილი ავტომობილის გარეგანი/შიდა დაზიანება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე;

ვ) ავტომობილის რეცხვა განახორციელოს ხელით, სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და მაღალი ხარისხის სარეცხი საშუალებების გამოყენებით; ქიმწმენდა განახორციელოს ამისთვის საჭირო მაღალი ხარისხის საშუალებებით, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;

ზ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მსოფლიო ბანკის „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის "მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის კოორდინატორი ლაშა მესხი.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.

6. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურეობის მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკის კრედიტი;

დ) ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული მომსახურეობის შესაბამისად მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

7.2 მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება მომსახურეობის სრულად გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურეობის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, **მისამართი:** ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2 **ხაზინის ერთიანი ანგარიში:** №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 სავალუტო კოდი: 202255407 სკ - 202238621	**შპს ,,ლეკლან“** **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა GE49VT7000000006493602 **მომსახურე ბანკი:** სს „ვი თი ბი ბანკი“, ბანკის კოდი UGEBGE22 ს/კ 405088186 Giorgi Lomidze Digitally signed by Giorgi Lomidze Date: 2021.02.10 15:27:19 +04'00'
შესყიდვების სამსახურის უფროსი **ვახტანგ შავგულიძე**	დირექტორის მ/პ **გიორგი ლომიძე**

დანართი N1

ავტომობილების ტიპი	**მომსახურეობის დასახელება**	**ფასი**	**რეცხვის რაოდენობა**
მაღალი გამავალობის მქონე ავტომობილი **(**ჯიპი და პიკაპი**)**	ავტომობილის გარეგანი**,** მისი სალონის**,** საბარგულის**,** საბურავების სრული რეცხვა **–**დასუფთავება	13.42 ლარი	696
მიკროავტობუსი არაუმეტეს **16-**კაციანი	ავტომობილის გარეგანი**,** მისი სალონის**,** საბარგულის**,** საბურავების სრული რეცხვა **–**დასუფთავება	12.46 ლარი	46

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სკ - 202238621

შპს „ლეკლან“
ს/კ 405088186

შესყიდვების სამსახურის უფროსი
ვახტანგ შავგულიძე

დირექტორი
ალექსანდრე რურუა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2021 წლის 10 თებერვალი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ავტორეცხვის მომსახურეობის შესყიდვასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში, შპს „ლეკლანისთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ვახტანგ შავგულიძე

_____

შესყიდვების სამსახურის უფროსი

ეკატერინე აბაშიძე

_____

მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების
პროექტის" მიწის ბაზრის განვითრების კომპონენტის
შესყიდვების ასისტენტი